



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49. 492309032

თარიღი:31/03/2023

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 64

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად:

- 1.დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულება შეფასდეს დადებითად.
- 3.განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



ანგარიში
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მომზადებულია მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებიდან და მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-იებიდან მოწოდებული ინფორმაციის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის გათვალისწინებით. ანგარიში მოიცავს ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან, ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის, პროგრამების დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში). ასევე, ინფორმაციას დასახული პრიორიტეტების ფარგლებში პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით განხორციელებული ღონისძიებების აღწერის და მიღწეული შედეგებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების წლიური მაჩვენებლების, სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ.

ბიუჯეტის შესრულების დაგეგმილ მაჩვენებელთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, ანგარიშში წარმოდგენილია, პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები - საბაზისო, დაგეგმილი და მიღწეული მაჩვენებლები. (მათ შორის შედეგების შეფასების ნაწილში გენდერული ინდიკატორები).

I თავი.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლების შესრულება

1) ბიუჯეტის ბალანსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით:

ათასი ლარი

დასახელება	2022 წლის ბიუჯეტის გეგმა			2022 წლის ბიუჯეტის ფაქტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
I. შემოსავლები	33 057,8	11 482,5	21 575,3	33 515,9	11 281,3	22 234,5
გადასახადები	18 110,0	0,0	18 110,0	18 526,9	0,0	18 526,9
გრანტები	11 714,3	11 482,5	231,8	11 364,3	11 281,3	83,0
სხვა შემოსავლები	3 233,5	0,0	3 233,5	3 624,7	0,0	3 624,7
II. ხარჯები	20 867,1	1 376,6	19 490,6	19 642,1	1 033,1	18 609,0
შრომის ანაზღაურება	3 656,4	79,4	3 577,0	3 561,3	79,4	3 481,9
საქონელი და მომსახურება	4 557,0	1 206,0	3 351,0	3 993,9	759,1	3 234,9
პროცენტი	35,0	0,0	35,0	27,5	0,0	27,5
სუბსიდიები	8 739,6	82,0	8 657,6	8 486,2	82,0	8 404,2
გრანტები	1 287,3	0,0	1 287,3	1 235,0	0,0	1 235,0
სოციალური უზრუნველყოფა	1 546,4	7,4	1 538,9	1 480,0	6,4	1 473,6
სხვა ხარჯები	1 045,5	1,8	1 043,7	858,2	106,3	751,9
III. საოპერაციო სალდო	12 190,7	10 105,9	2 084,7	13 873,7	10 248,2	3 625,6
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	18 435,9	11 387,2	7 048,7	16 094,9	10 452,9	5 642,0
ზრდა	18 805,9	11 387,2	7 418,7	16 843,5	10 452,9	6 390,6
კლება	370,0	0,0	370,0	748,6	0,0	748,6
V. მთლიანი სალდო	-6 245,2	-1 281,2	-4 964,0	-2 221,2	-204,7	-2 016,4
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	-6 301,2	-1 281,2	-5 020,0	-2 276,8	-204,7	-2 072,0
ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	0,0			#VALUE!		0,0
კლება	6 301,2	1 281,2	5 020,0	2 276,8	204,7	2 072,0
ვალუტა და დეპოზიტები	6 301,2	1 281,2	5 020,0	2 276,8	204,7	2 072,0
VII. ვალდებულებების ცვლილება	-56,0	0,0	-56,0	-55,6	0,0	-55,6
კლება	56,0	0,0	56,0	55,6	0,0	55,6



საშინაო	56,0	0,0	56,0	55,6	0,0	55,6
VIII. ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

შენიშვნა: ბალანსში გათვალისწინებულია ბიუჯეტის ანგარიშებზე მობრუნებული თანხები.


2) საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის შედარება შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან

დასახელება	2022 წლის ბიუჯეტის გეგმა			2022 წლის ბიუჯეტის ფაქტი			შესრულების პროცენტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	33 427,8	11 482,5	21 945,3	34 264,5	11 281,3	22 983,2	102,5	98,2	104,7
შემოსავლები	33 057,8	11 482,5	21 575,3	33 515,9	11 281,3	22 234,5	101,4	98,2	103,1
არაფინანსური აქტივების კლება	370,0	0,0	370,0	748,6	0,0	748,6	202,3	0,0	202,3
ფინანსური აქტივების კლება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
გადასახდელები	39729,0	12763,7	26965,3	36541,3	11486,1	25055,2	92,0	90,0	92,9
ხარჯები	20867,1	1376,6	19490,6	19642,1	1033,1	18609,0	94,1	75,1	95,5
არაფინანსური აქტივების ზრდა	18805,9	11387,2	7418,7	16843,5	10452,9	6390,6	89,6	91,8	86,1
ვალდებულებების კლება	56,0	0,0	56,0	55,6	0,0	55,6	0,0	0,0	0,0
ნაშთის ცვლილება	-6 301,2	-1 281,2	-5 020,0	-2 276,8	-204,7	-2 072,0	36,1	16,0	41,3


წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები) გეგმა განისაზღვრა 33427,8 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 34264,5 ათასი ლარი, ანუ გეგმის 102.5%.



სახეობების მიხედვით შემოსულობების ხვედრითი წილი:



წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 33057.8 ათასი ლარი, ფაქტიურად 33515.9 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 101.4% და მთლიანი შემოსულობების - 97.8% შეადგინა.




ა) საგადასახადო შემოსავლები ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 18526.9 ათასი ლარი და 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი – 14648.2 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 3878.7 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, მათ შორის: დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებულია 16 001,3 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2021 წლის ფაქტი 11793,8 ათასი ლარი) შედარებით 4207,5 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული. ქონების გადასახადის გეგმა საანგარიშო პერიოდში შეადგენდა 2290.0 ათას ლარს, მიღებულია 2525.6 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია 1161.6 ათასი ლარი,

უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) – 204,5 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადიდან (გარდა მიწისა) – 31,6 ათასი ლარი, ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებულ ქონებაზე - 1,2 ათასი ლარი, არაეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებულ ქონებაზე - 30,4 ათასი ლარი, სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ფიზიკური პირებიდან - 176,1 ათასი ლარი. ხოლო იურიდიული პირებიდან - 78,5 ათასი ლარი. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ფიზიკური პირებიდან - 87,6 ათასი ლარი. ხოლო იურიდიული პირებიდან - 785,7 ათასი ლარი. ქონების გადასახადის ძირითადი შემოსავალი საწარმოთა ქონების გადასახადზე (გარდა მიწისა) მოდის.

ათასი ლარი

დასახელება	2022 წლის ბიუჯეტის გეგმა	2022 წლის ბიუჯეტის ფაქტი	შესრულების %
გადასახადები	18 110,0	18 526,9	102,3
დღგ	15 820,0	16 001,3	101,1
ქონების გადასახადი	2 290,0	2 525,6	110,3
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1 690,0	1 161,6	68,7
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0,0	204,5	#DIV/0!
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	10,0	31,6	316,5
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	1,0	1,2	123,4
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	9,0	30,4	337,9
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	190,0	254,6	134,0
ფიზიკურ პირებიდან	140,0	176,1	125,8
იურიდიულ პირებიდან	50,0	78,5	157,0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	400,0	873,3	218,3
ფიზიკურ პირებიდან	50,0	87,6	175,2
იურიდიულ პირებიდან	350,0	785,7	224,5




საგადასახადო შემოსავლების გეგმის გადაჭარბება განაპირობებულია იმით რომ წინა საანგარიშო პერიოდში არსებული პანდემიური სიტუაციიდან გამომდინარე შეუძლებელი იყო შემოსავლების გეგმის სწორი პროგნოზირება.

ბ) გრანტები ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 11364,3 ათასი ლარი და 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი – 9575,3 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 1789,0 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, მათ შორის: საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები მიღებულია 83,0 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 190,0 ათასი ლარი („საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის, „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის), ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები - 11 091,3 ათასი ლარი (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხების (9146,9 ათასი ლარი) ფარგლებში ქალაქ წყალტუბოსა და სოფლებში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით, კერძოდ სოფელ მაღლაკში №5, 7, 8, 9, 10 ჩეჩელაშვილების უბანში, სოფელ უკანეთში გზის რეაბილიტაცია, სოფელ ბანოჯაში ბარბარეწმინდას უბანში, ასევე მე-2, მე-6, 21-ე, 22-ე, 26-ე ქუჩების გზის რეაბილიტაცია, გეგუთში ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე გზის რეაბილიტაცია, ტყაჩირში აშვეთიების უბანში გზის რეაბილიტაცია, სოფელ რიონში მამრიკიშვილების უბანში (ტაძართან მისასვლელი გზის) რეაბილიტაცია, სოფელ საყულიაში გზის რეაბილიტაცია, სოფელ ნოღა-ქუთაისის დამაკავშირებელი გზის, ქალაქ წყალტუბოში რკინიგზის გადასავლელის რეაბილიტაცია, სოფელ

ოფშკვითში გუბას, მოძაშვილების, კეპულაძეების, ჩხოვაძეების უბნებში გზის რეაბილიტაცია, სოფელ გუმბრაში კლუბის და იობიძეების უბანში გზის რეაბილიტაცია, სოფელ გვიშტიბში მაცაბერიძეების უბანში და მე-10 ქუჩაზე, ქალაქ წყალტუბოში გამსახურდიას და ქუთაისის ქუჩის გაგრძელებაზე, სოფელ ქვიტირში #20 ქუჩაზე, სოფელ მუხიანში ბროწეულას დასახლებაში და სოფლების ქვიტირი - ზედა მესხეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია. ქალაქ წყალტუბოში "ცივი ტბის" მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული თანმხლები ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სანიტარული წერტილების მოწყობა. ადგილობრივ ბიზნესებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და მიმზიდველი ბიზნეს გარემოს შექმნის მიზნით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. ყუმისთავში, "გაბზარულ ტბასთან" მისასვლელი, "საწურბლიას" და "პრომეთეს" მღვიმეებთან დამაკავშირებელი ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით და თანმხლები ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. ლეხინდრისთავში (ლეხინდრისთავი-ლეყერეთი) გზის მე-2 ეტაპის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის (704,0 ათასი ლარი) ფარგლებში მზა ბეტონის შესყიდვა, სხვადასხვა მასალების შეძენა, სასაფლაოს შემორაგვა, სანიაღვრე არხების მოწყობა, გარე განათების ქსელის მოწყობა, შენობების რეაბილიტაცია, სკვერებისა და ატრაქციონების მოწყობა და სხვა. საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება და ინფრასტრუქტურის მოწყობა / რეაბილიტაცია (425,8 ათასი ლარი); სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების (814,6 ათასი ლარი) ფარგლებში ქალაქ წყალტუბოში: კოლხეთის ქუჩაზე №6, ბესიკის ქუჩაზე №1, თამარ მეფის ქუჩაზე №11, დედა ენის ქუჩაზე №9, 26 მაისის ქუჩაზე №3, 9 აპრილის ქუჩაზე №7, 9 აპრილის ქუჩაზე №3, საერთო საცხოვრებელი კორპუსების დაზიანებული სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოები და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში, კერძოდ ცხუნკურის, სოფ. წყალტუბოს, მექვენის, ოფურჩხეთის, დღნორისის და რიონის ადმინისტრაციულ ერთეულებში დაზიანებული გზების აღდგენითი სამუშაოები.

ათასი ლარი

დასახელება	2022 წლის ბიუჯეტის გეგმა	2022 წლის ბიუჯეტის ფაქტი	შესრულების %
გრანტები	11 714,3	11 364,3	97,0
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	233,8	83,0	35,5
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	11 480,5	11 281,3	98,3
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	190,0	190,0	100,0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	190,0	190,0	100,0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	11 290,5	11 091,3	98,2
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	9 223,8	9 146,9	99,2
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	704,0	704,0	100,0
სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ მუნიციპალიტეტების დაფინანსება და მოსწავლეთა ტრანსპორტირება	542,7	425,8	78,5
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო	820,0	814,6	99,3




გ) სხვა შემოსავლები ბიუჯეტში მთლიანობაში მოზილზებულია 3624,7 ათასი ლარი და 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი – 2740,3 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 884,4 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, მათ შორის: პროცენტის სახით მიღებულია 348,9 ათასი ლარი, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის - 492,7 ათასი ლარი, შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 90,3 ათასი ლარი, სანებართვო მოსაკრებელი - 46,1 ათასი ლარი, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი (სისტემურ - ელექტრონული ფორმის თამაშებიდან) - 1000,0 ათასი ლარი, ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 202,1 ათასი ლარი, შემოსავლები მომსახურების გაწევიდან - 77,7 ათასი ლარი (სახელმწიფო შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში გადაცემიდან მიღებული შემოსავალი, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული შენობებისა და ნაგებობის იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან მიღებული შემოსავალი, შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან), ჯარიმები, სანქციები და საურავები - 1223,9 ათასი ლარი (ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში - 5493 ლარი, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო - 1138528 ლარი, სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარღვევაში - 14398 ლარი, საზოგადოებრივი წესრიგის ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო - 2495 ლარი, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო - 10951 ლარი, არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის

გამო - 25300 ლარი, შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციები - 19652 ლარი), ტრანსფერები, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული - 142,7 ათასი ლარი (შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან - 83 113 ლარი, წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები - 2640 ლარი, სხვა დანარჩენი არაკლასიფიცირებული შემოსავლები - 52867 ლარი და სხვა).

ათასი ლარი

დასახელება	2022 წლის ბიუჯეტის გეგმა	2022 წლის ბიუჯეტის ფაქტი	შესრულების %
სხვა შემოსავლები	3 233,5	3 624,7	112,1
შემოსავლები საკუთრებიდან	473,5	931,9	196,8
პროცენტები	253,5	348,9	137,6
რენტა	220,0	583,0	265,0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	200,0	492,7	246,4
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	20,0	90,3	451,5
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	1 260,0	1 326,2	105,3
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1 190,0	1 248,5	104,9
სანებართვო მოსაკრებელი	40,0	46,1	115,3
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0,0	0,2	#DIV/0!
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	1 000,0	1 000,0	100,0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	150,0	202,1	134,7
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	70,0	77,7	111,0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	70,0	77,7	111,0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	1 500,0	1 223,9	81,6
ტრანსფერები რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	0,0	142,7	#DIV/0!




აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტისათვის თითქმის შეუძლებელია სწორი პროგნოზის გაკეთება სხვა შემოსავლებთან მიმართებაში, როგორცაა მაგალითად საგზაო ჯარიმები, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის, სანებართვო მოსაკრებლები და ა. შ.

დ) არაფინანსური აქტივების კლება ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 748,6 ათასი ლარი და 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი – 476,8 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 271,8 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, მათ შორის: ძირითადი აქტივები - 48944 ლარი, არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 699 686 ლარი.

ათასი ლარი


დასახელება	2022 წლის ბიუჯეტის გეგმა	2022 წლის ბიუჯეტის ფაქტი	შესრულების %
არაფინანსური აქტივების კლება	370,0	748,6	202,3
ძირითადი აქტივები	20,0	48,9	244,7
არაწარმოებული აქტივები	350,0	699,7	199,9
მიწა	350,0	699,7	199,9



ძირითადი აქტივების გეგმის გადაჭარბება გამოწვია იმ გარემოებამ, რომ შემოსავალი მოიცავს არამართო წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებების პრივატიზებით მიღებულ თანხას, არამედ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონებების პროვატიზებით მიღებულ შემოსავლის გარკვეულ ნაწილს, რომელიც ერიცხება პროცენტულად მუნიციპალიტეტს.

ე) ხარჯები ეკონომიკური მუხლების მიხედვით

დასახელება	2022 წლის ბიუჯეტის გეგმა	2022 წლის ბიუჯეტის ფაქტი	შესრულების %
II. ხარჯები	20 867,1	19 642,1	94,1
შრომის ანაზღაურება	3 656,4	3 561,3	97,4
საქონელი და მომსახურება	4 557,0	3 993,9	87,6
პროცენტი	35,0	27,5	78,7
სუბსიდიები	8 739,6	8 486,2	97,1
გრანტები	1 287,3	1 235,0	95,9
სოციალური უზრუნველყოფა	1 546,4	1 480,0	95,7
სხვა ხარჯები	1 045,5	858,2	82,1



ვ) ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი პროგრამული კლასიფიკაციის კოდების მიხედვით შემდეგია:

	დასახელება	2022 წლის ბიუჯეტი	2022 წლის ფაქტი	შესრულების %
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	240,7	207,0	86,0
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	17 167,0	15 557,7	90,6
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	391,0	384,6	98,4
04 00	განათლება	506,4	404,9	80,0
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი	495,8	284,4	57,4
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	5,0	5,0	99,6
	სულ	18 805,9	16 843,5	89,6

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
ძირითადი აქტივები	18805,9	16843,5	89,6
არაფინანსური აქტივების ზრდა	18805,9	16843,5	89,6

ზ) ვალდებულებები

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
საშინაო	55.6	55.6	100.00
ვალდებულებების კლება	55.6	55.6	100,0

ვალდებულებების კლება წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მიერ სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და წყალტუბოს მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის“ ქონების გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში გაცემული სესხის დაფარვას. შესაბამისად 2022 წლის 01 იანვრისთვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ვალი შეადგენდა 310,3 ათ ლარს, 2022 წელს (28 აპრილი და 28 ოქტომბერი) ვალი შემცირდა 55,6 ათ. ლარით. რის შემდეგაც მუნიციპალიტეტის ვალი 2022 წლისათვის შეადგენს 254,7 ათ. ლარს.

თ) შესრულება ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2022 წლის ბიუჯეტის გეგმა			2022 წლის ბიუჯეტის ფაქტი			შესრულების %
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	5 891,9	102,0	5 789,9	5 166,2	99,5	5 066,7	87,7
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	5 798,5	102,0	5 696,5	5 144,6	99,5	5 045,1	88,7

70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	5 798,5	102,0	5 696,5	5 144,6	99,5	5 045,1	88,7
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	26,9	0,0	26,9	21,6	0,0	21,6	80,4
70131	საერთო საკადრო მომსახურება	26,9	0,0	26,9	21,6	0,0	21,6	80,4
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	66,5	0,0	66,5	0,0	0,0	0,0	0,0
704	ეკონომიკური საქმიანობა	17 783,0	11 427,5	6 355,5	16 234,1	10 629,8	5 604,2	91,3
7045	ტრანსპორტი	16 757,3	10 719,4	6 038,0	15 341,1	9 940,4	5 400,7	91,5
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	16 757,3	10 719,4	6 038,0	15 341,1	9 940,4	5 400,7	91,5
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	1 025,7	708,1	317,5	892,9	689,4	203,5	87,1
705	გარემოს დაცვა	2 125,5	7,6	2 117,9	2 391,7	0,0	2 391,7	112,5
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	479,0	7,6	471,4	801,8	0,0	801,8	167,4
7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	1 646,4	0,0	1 646,4	1 589,9	0,0	1 589,9	96,6
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	4 184,6	299,0	3 885,7	3 631,0	199,7	3 431,3	86,8
7061	ბინათმშენებლობა	978,8	203,5	775,2	809,8	106,3	703,5	82,7
7063	წყალმომარაგება	439,6	7,7	432,0	346,1	6,9	339,2	78,7
7064	გარე განათება	819,3	0,0	819,3	804,7	0,0	804,7	98,2
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	1 947,0	87,8	1 859,2	1 670,3	86,4	1 583,9	85,8
707	ჯანმრთელობის დაცვა	135,3	82,0	53,3	131,9	82,0	49,9	97,5
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	135,3	82,0	53,3	131,9	82,0	49,9	97,5
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	3 377,3	250,0	3 127,3	3 114,8	0,0	3 114,8	92,2
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1 363,4	250,0	1 113,3	1 147,8	0,0	1 147,8	84,2
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	1 873,4	0,0	1 873,4	1 826,5	0,0	1 826,5	97,5
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	40,6	0,0	40,6	40,6	0,0	40,6	99,9
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების,	100,0	0,0	100,0	100,0	0,0	100,0	100,0

	კულტურისა და რელიგიის სფეროში							
709	განათლება	4 084,5	589,6	3 494,9	3 804,8	469,0	3 335,8	93,2
7091	სკოლამდელი აღზრდა	3 472,7	0,0	3 472,7	3 335,8	0,0	3 335,8	96,1
7092	ზოგადი განათლება	611,8	589,6	22,2	469,0	469,0	0,0	76,7
70923	საშუალო ზოგადი განათლება	611,8	589,6	22,2	469,0	469,0	0,0	76,7
710	სოციალური დაცვა	2 090,8	6,0	2 084,8	2 011,2	6,0	2 005,2	96,2
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	714,3	0,0	714,3	663,7	0,0	663,7	92,9
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	714,3	0,0	714,3	663,7	0,0	663,7	92,9
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	2,0	0,0	2,0	2,0	0,0	2,0	100,0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	100,6	0,0	100,6	100,5	0,0	100,5	99,9
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	1 273,9	6,0	1 267,9	1 245,0	6,0	1 239,0	97,7
	სულ	39 673,0	12 763,7	26 909,3	36 485,7	11 486,1	24 999,6	92,0

ი) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება



1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება -2276,8 ათასი ლარის ოდენობით.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 2276,8 ათასი ლარის ოდენობით.

2022 წლის დასაწყისში არსებული ნაშთიდან 6 586 078 ლარიდან, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ვალდებულებებისთვის განისაზღვრა 3 200 639 ლარი, 2021 წლის გარდამავალი პროექტებისთვის, რომელთა ტენდერები გამოცხადდა 2021 წელს - 69 499 ლარი, თავისუფალი ნაშთი განისაზღვრა 3 107 413 ლარი (აქედან იანვრის ცვლილებით მიზნობრიობა განისაზღვრა 2 624 335 ლარი, აპრილის ცვლილებით 257 508 ლარი, ივნისის ცვლილებით 91 233 ლარი, ხოლო ივლისის ცვლილებით 117 989 ლარი) .


II თავი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების შესრულება

მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსებამ 36541.3 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (39729,0 ათასი ლარი) 92,0 პროცენტია. ხოლო წინა წელთან შედარებით (2021 წელთან შედარებით) დახარჯულია 11 432,4 ათასი ლარით მეტი.

ათასი ლარი



წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 - 2022 წლების ბიუჯეტების გეგმიური და ფაქტიური მაჩვენებლები




ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 20867,1 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა - 19642,1 ათასი ლარი, რაც გეგმის 94,1%-ია. მთლიანი გადასახდელების 53,8 %-ია.

არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 18805,9 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა - 16843,5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 89,6 %-ია. მთლიანი გადასახდელების 46,1%.

ვალდებულებების კლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 56,0 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა - 55,6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99,3%-ია და მთლიანი გადასახდელების 0,15%.

2022 წლის ასიგნების სტრუქტურა



1) მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (ორგანიზაციული კოდი 01 00)

საანგარიშო წელს მართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებმა 5133,0 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმიური მაჩვენებლის (5653,1 ათასი ლარი) 90,8 პროცენტია.

აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა შემდეგი მიმართულებები: 1. მმართველობითი ხარჯი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა - 1320,6 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მერია - 3624,6 ათასი ლარი, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (დელეგირებული ფუნქცია) - 166,2 ათასი ლარი (მიზნობრივი ტრანსფერით დაფინანსდა 99,5 ათასი ლარი), კადრების მომზადება - გადამზადება 21,6 ათასი ლარი. 2. საერთო დანიშნულების ხარჯი: სარეზერვო ფონდიდან (გეგმა-116,0 ათასი ლარი) მერის გადაწყვეტილებით გახარჯულია 41,3 ათასი ლარი. მათ შორის:

№	თარიღი	ბრძანების №	ბრძანების საგანი	გამოყოფილი თანხა
1	31.03.2022	48.48.220907	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან წყალტუბოს სარეზერვო ფონდიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული კონსტანტინე ქორქაშვილისათვის თანხის გამოყოფა	3700
2	18.04.2022	48482210831	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანებში კოპიტნარის დასახლებაში № 1 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის შეკეთებისათვის თანხის გამოყოფა	3399,81
3	24.05.2022	48482214429	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან სოფელ მუხიანში ბროწეულას დასახლებაში დაზიანებული საკანალიზაციო გადამქაჩი სადგურის ტუმბო-აგრეგატის შეძენისათვის თანხის გამოყოფა	6500
4	06.06.2022	4848221571	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან შშმ პირთა სათემო ორგანიზაცია „ ჩვენი დიდი ოჯახი-სათვის “ თანხის გამოყოფა	2500
5	16.08.2022	4848222284	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში და სოფ. ხომულში დაზიანებული სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაციისათვის თანხის გამოყოფა	6900
6	02.09.2022	4848222457	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. გუმბრაში სასმელი წყლის ტუმბოს აგრეგატების შეძენისათვის თანხის გამოყოფა	3500
7	22.09.2022	4848222655	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. ხომულში დაზიანებული სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაციისათვის თანხის გამოყოფა	13953

8	06.12.2022	4848223404	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიებიდან, შეიარაღებული მოქმედებების დროს უგზო-უკვლოდ დაკარგული სამხედრო პირის სოფელ გვიშტიში მცხოვრები ხვიჩა დეკანოსიძისათვის თანხის გამოყოფა	800
			სულ ჯამი:	41252,81

1) ინფრასტრუქტურის განვითარება (ორგანიზაციული კოდი 02 00)

ინფრასტრუქტურის განვითარება საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 20321,1 ათასი ლარით, რაც გეგმის (22300,5 ათასი ლარი) 91,1 პროცენტია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

ათასი ლარი

პროგრამა	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2022 წლის ბიუჯეტის გეგმა	2022 წლის ბიუჯეტის ფაქტი	შესრულების %
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	22 300,5	20 321,1	91,1
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	16 397,3	15 341,1	93,6
02 01 01	გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება	15 734,0	14 725,3	93,6
02 01 02	გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება	662,4	614,9	92,8
02 01 04	ხიდეების და ბოგიერების მშენებლობა	1,0	0,9	88,4
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1278,4	1 148,0	89,8
02 02 01	სანიაღვრე სისტემების ექსპლოატაცია / რეაბილიტაცია	839,0	801,8	95,6
02 02 02	სასმელი წყლით უზრუნველყოფა	439,6	346,1	78,7
02 03	გარე განათება	819,3	804,7	98,2
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	701,0	700,8	100,0
02 03 02	გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა	118,3	103,9	87,9
02 04	ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია	443,8	373,8	84,2
02 05	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	461,0	371,4	80,6
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	1 580,0	1 300,4	82,3
02 06 02	შენობების ფასადების რეაბილიტაცია	74,0	64,7	87,4

02 06 03	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია	413,4	171,9	41,6
02 06 04	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები, გამწვანება - განაშენიანება	1 092,6	1 063,9	97,4
02 07	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	709,9	691,1	97,4
02 08	საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა	113,7	67,4	59,3
02 09	სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა	202,1	134,4	66,5
02 10	მოქალაქეთა ჩართულობა	244,8	88,7	36,2
02 11	ოჯახების სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერა	50,0	0,0	0,0

1. ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 01) დაფინანსებულია 15 341,1 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 16 397,3 ათასი ლარის 93,6%-ია) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

02 01 01 გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახური)

2022 წლის გეგმა 15734,0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 14725,3 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური ტრანსფერი - 9982,9 ათასი ლარი), რაც გეგმის 93,6 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: რეაბილიტირებული საგზაო ინფრასტრუქტურა, კაპიტალურად შეკეთებული გზები. უზრუნველყოფილია უსაფრთხო და კომფორტული მიმოსვლა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზირებული გზების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია და ახალი გზის მოწყობა ასფალტო ბეტონის ან/და ბეტონის საფარით.

2022 წლის განმავლობაში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში რგფ-ის დაფინანსებით დაიგო ადგილობრივი მნიშვნელობის 25 კმ სიგრძის გზა, კერძოდ:

- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში №5, №7, №8, №9, №10 - ჩეჩელაშვილების უბანში გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით;
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ უკანეთში გზის რეაბილიტაცი ბეტონის საფარით;
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის რიონში მამრიკიშვილების უბანში (ტაძართან მისასვლელი) გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით;

- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბანოჯაში ბარბარეწმინდას უბანში, ასევე მე-2, მე-6, 21-ე, 22-ე და 26-ე ქუჩებზე გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით;
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირში აშვეთიების უბანში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით;
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით;
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ საყულიაში გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით;
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ნოღა - ქუთაისის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით;
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ოფშკვითში გუბას, კეპულაძეების, ჩხოზაძეების და მოძუაშვილების უბანში გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით;
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმბრაში კლუბის და იობიძეების უბანში გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით;
- ქალაქ წყალტუბოში გამსახურდიას და ქუთაისის ქუჩის გაგრძელებაზე გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით;
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გვიშტიბში მაცაბერიძეების და მე-10 ქუჩაზე გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით;
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირში №20 ქუჩაზე გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით;
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუხიანში ბროწეულას დასახლებაში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით;
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლების ქვიტირი - ზედა მესხეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.

ადგილობრივი დაფინანსებით დაიგო ადგილობრივი მნიშვნელობის 7,5 კმ სიგრძის გზა, კერძოდ:

- 2021-2022 წლების დაფინანსების ფარგლებში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში, მე-8 და მე-9 ქუჩებზე გზების ბეტონის საფარით რეაბილიტაციის სამუშაოები;
- 2021-2022 წლების დაფინანსების ფარგლებში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლების პატრიკეთისა და გეგუთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოები;
- 2021-2022 წლების დაფინანსების ფარგლებში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლების ხომულისა და ქვილიშორის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის, ასევე სოფელ ჩუნეშში ტაძართან მისასვლელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოები;
- 2021-2022 წლების დაფინანსების ფარგლებში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლების რიონისა და სორმონის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოები;
- 2021-2022 წლების დაფინანსების ფარგლებში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანეში, ამაღლების უბანში N60 ქუჩაზე გზის რეაბილიტაციის სამუშაოები;

- ქალაქ წყალტუბოში ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია;
- ქალაქ წყალტუბოში 9 აპრილისა და რუსთაველის ქუჩის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია;
- სარკინიგზო გადასასვლელის მოწყობა;
- ქალაქ წყალტუბოსა და სოფელ ბანოჯის (სათაფლიას გადასახვევი) გზის რეაბილიტაცია;

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - წინა წერიოდში რეაბილიტირებული ასფალტო - ბეტონის საფარი 176000 კვ.მ.

დაგეგმილი მაჩვენებელი - რეაბილიტაცია ჩაუტარდება და მოეწყობა 92000 კვ.მ.

მიღწეული მაჩვენებელი - რეაბილიტაცია ჩაუტარდა და მოეწყო 92000 კვ. მ - მდე საგზაო საფარი.

02 01 02 გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახური)

2022 წლის გეგმა 662,4 ათასი ლარი, დაფინანსდა - 614,9 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური ტრანსფერი - 362,7 ათასი ლარი), რაც გეგმის 60,1 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის შეკეთებული და მოწესრიგებული გზები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: მუნიციპალიტეტის მასშტაბით გზების გარკვეული ნაწილი საჭიროებს მიმდინარე ორმოულ შეკეთებას, რათა გახანგრძლივდეს მათი ექსპლოატაციისა და გამოყენების ვადები. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია გზების მიმდინარე შეკეთება. აღნიშნული ქვეპროგრამით განხორციელდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეაბილიტირებული გზების მოვლა, რაც გულისხმობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში შიდა გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდას, სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრასა და ორმოულ შეკეთებას.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა 2022 წლის 22-23 ივნისს და 2 ივლისს მომხდარი სტიქიის სალიკვიდაციოდ გზების შეკეთების სამუშაოები, კერძოდ: სოფელ ცხუნკურის, წყალტუბოს, მექვენის, ოფურჩხეთის, დღნორისის, რიონის ადმინისტრაციულ

ერთეულებში) და მიმდინარე წლის 10 ოქტომბერს მომხდარი სტიქიის სალიკვიდაციოდ სოფ. მექვენის, ოფურჩხეთის, დღნორისის, მაღლაკის, ოფურჩხეთის, საყულიას, რიონის ადმინისტრაციულ ერთეულებში და ქალაქ წყალტუბოში სანიაღვრე არხების გაწმენდისა და შეკეთებების სამუშაოები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - წინა პერიოდში სტიქიისგან დაზიანებული გაწმენდილი გზების სიგრძე 68 კმ.

დაგეგმილი მაჩვენებელი - გაიწმინდება სტიქიისგან დაზიანებული 55 კმ.

მიღწეული მაჩვენებელი - სტიქიისგან დაზიანებული გაწმენდილი გზების სიგრძე - 92 კმ - მდე.

02 01 03 ხიდების და ბოგირების მშენებლობა

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახური)

2022 წლის გეგმა 1,0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 0,9 ათასი ლარით, რაც გეგმის 88,4 %-ია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: მოცემულ ეტაპზე აღნიშნული ქვეპროგრამა მოიცავს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ხიდ-ბოგირების მოწყობის საგარანტიო თანხებს, კერძოდ ქალაქ წყალტუბოში ქუთაისის ქუჩაზე არსებული სახიდე გადასასვლელის საგარანტიო თანხის ანზღაურება.

ბ) წყლის სისტემების განვითარება (პროგრამული კოდი 02 02) დაფინანსებულია 1148,0 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1278,4 ათასი ლარის 89,8%-ია) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

02 02 01 სანიაღვრე სისტემების ექსპლოატაცია / რეაბილიტაცია

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახური)

2022 წლის გეგმა 839,0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 801,8 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური ტრანსფერი - 360,0 ათასი ლარი), რაც გეგმის 95,6 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: სანიაღვრე სისტემის მოწესრიგებით გაზრდილია ნალექების გამტარუნარიანობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: სანიაღვრე ინფრასტრუქტურა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრობლემატურ ნაწილს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება როგორც მიმდინარე საექსპლოატაციო, ასევე სარეაბილიტაციო და კაპიტალური სამუშაოები. კერძოდ: ქალაქ წყალტუბოში ევდოშვილის, კეცხოველის, ლერმონტოვის და გოგებაშვილის ქუჩებზე არსებული არხის რეაბილიტაცია;

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - წინა პერიოდში რეაბილიტირებული, მოწყობილი სანიაღვრე არხები - 8.

დაგეგმილი მაჩვენებელი - რეაბილიტირდება 6 სანიაღვრე არხი;

მიღწეული მაჩვენებელი - რეაბილიტაცია ჩაუტარდა ქალაქში 6 სანიაღვრე არხს.

02 02 02 სასმელი წყლით უზრუნველყოფა

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახური)

2022 წლის გეგმა 439,6 ათასი ლარი, დაფინანსდა - 346,1 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური ტრანსფერი - 6,9 ათასი ლარი), რაც გეგმის 78,7 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: მუნიციპალიტეტის მოსახლეობას გააჩნია შეუფერხებელი წვდომა სასმელ წყალზე.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სასმელი წყლის უწყვეტი მომარაგება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ფინანსდება წყლის სისტემების განვითარების პროგრამა, რომელიც მოიცავს როგორც წყალმომარაგების არსებული ქსელის მოვლა-შენახვის ღონისძიებებს, ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. სასმელი წყლით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგების ქსელის (მათ შორის, წყლის სათავე ნაგებობების, წყლის მაგისტრალების და სხვა) კაპიტალურ რეაბილიტაციას. საჭიროების შემთხვევაში ასევე ხორციელდება ახალი წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები. ქვეპროგრამა უმეტესწილად ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით. კერძოდ:

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოში სასმელი წყლის ქსელის და საკანალიზაციო ქსელის მოწყობა;

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ რიონში სასმელი წყლის ქსელის და საკანალიზაციო ქსელის მოწყობა;

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გუმბრაში, გუმბრინის დასახლებაში #12 და #13 ბინების სასმელი წყლის ქსელის და საკანალიზაციო ქსელის მოწყობა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - წინა პერიოდში რეაბილიტირებული, მოწყობილი სასმელი წყლის სისტემა - 16 000 გრძ. მ.

დაგეგმილი მაჩვენებელი - რეაბილიტირდება 18 გრძ. მ სასმელი წყლის სისტემა;

მიღწეული მაჩვენებელი - რეაბილიტაცია ჩატარდა სასმელი წყლის სისტემას 65000 გრძ. მ.

გ) გარე განათება (პროგრამული კოდი 02 03) დაფინანსებულია 804,7 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 819,3 ათასი ლარის 98,2%-ია) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

02 03 01 გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახური)

2022 წლის გეგმა 701,0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 700,8 ათასი ლარით, რაც გეგმის 100 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელია ქალაქის გარე განათების ქსელის შეუფერხებელი ფუნქციონირება, ასევე, ახალი ლედ ტიპის ეკონომიური სანათების დაყენებით ელექტროენერგიის ხარჯის შემცირება. გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურებისთვის გათვალისწინებული ასიგნებები ხმარდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული, მუნიციპალიტეტის ბალანსზე აღრიცხულ განათების წერტილების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯების ანაზღაურებას.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კმაყოფილი მოსახეობა 90%.

დაგეგმილი მაჩვენებელი - პროგრამით მოსარგებლე მოსახლეობის არანაკლებ 90%.

მიღწეული მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელი შენარჩუნდა.

02 03 02 გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
(ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახური)

2022 წლის გეგმა 118,3 ათასი ლარი, დაფინანსდა - 103,9 ათასი ლარით, რაც გეგმის 87,9 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: გამართულად ფუნქციონირებადი გარე განათების ქსელი.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს როგორც ქალაქის ტერიტორიაზე ასევე მუნიციპალიტეტის სოფლებში. პროექტების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით, კერძოდ: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირში ჭეიშვილების უბანში, სოფელ რიონში, ფარცხანაყანევში რეხისტყის უბანში, მიდორის უბანში (ხანთაძეები) მაღაზიის უბანში, გოდუაძეების და სამღებროს უბანში, სოფელ ყუმისთავში, სოფელ საყულიაში, სოფელ გვიშტიბში, სოფელ წყალტუბოში მეორე უბანში (ქვარდნალას უბანი) გარე განათების მოწყობა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2021 წელს ექსპლოატაცია გაეწია 320 სანათს.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 2022 წელს ექსპლოატაცია გაეწევა 350 სანათს.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

დ) ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 04)

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
(ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახური)

2022 წლის გეგმა 443,8 ათასი ლარი, დაფინანსდა - 373,8 ათასი ლარით, რაც გეგმის 84,2 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: მოქალაქეებისთვის შექმნილი უსაფრთხო გარემო.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: პროგრამის ფარგლებში მოხდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული

ავარიული შენობების რეაბილიტაცია, კერძოდ: მე-3 საბავშვო ბაღისა და ინკლუზიურის შემოღობვა; მე-4 ბაღის რეაბილიტაცია, სტიქიის შედეგად დაზიანებული ავარიული კორპუსების რეაბილიტაცია; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირში მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული სხვადასხვა სპორტული სახეობების შემსწავლელი დაწესებულების ეზოს შემოღობვის რეაბილიტაცია, ქ. წყალტუბოში, 9 აპრილის ქ. №9 მრავალბინიან საცხოვრებელი სახლის სამირკვლის გრძივი და განივი დასუსტებული საყრდენი კედლების გამაგრების სამუშაოები. აგრეთვე საგარანტიო თანხების ანაზღაურება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2021 წელს გამაგრება - გაძლიერების სამუშაოები ჩაუტარდა - 16 შენობა - ნაგებობას.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 2022 წელს გამაგრება - გაძლიერების სამუშაოები ჩაუტარდება 18 შენობა - ნაგებობას.

მიღწეული მაჩვენებელი - გამაგრება - გაძლიერების სამუშაოები ჩაუტარდა 18 შენობა - ნაგებობას.

ე) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება (პროგრამული კოდი 02 05)

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახური)

2022 წლის გეგმა 461,0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 371,4 ათასი ლარით, რაც გეგმის 80,6 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: გაუმჯობესებული და კომფორტული საცხოვრებელი გარემო.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: პროგრამის ფარგლებში მოხდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული ამხანაგობების თანადაფინანსება საცხოვრებელი კორპუსებისა და უბნების კეთილმოწყობისათვის, კერძოდ: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების და ფასადების რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია, ეზოების კეთილმოწყობა, სამირკვლების, სადარბაზოების შიდა რემონტი, გამნათებისა და ლიფტების რეაბილიტაცია და პანდუსების მოწყობა, დაზიანებული წყალ-კანალიზაციების კომუნიკაციების აღდგენა, პარკეტებისა და წყალსაწრეტი მიწების რეაბილიტაცია.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2021 წელს გამაგრება - გაძლიერების სამუშაოები ჩაუტარდა - 18 შენობა - ნაგებობას.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 2022 წელს გამაგრება - გაძლიერების სამუშაოები ჩაუტარდება 17
შენობა - ნაგებობას.

მიღწეული მაჩვენებელი - გამაგრება - გაძლიერების სამუშაოები ჩაუტარდა 22 **შენობა -**
ნაგებობას.

ვ) კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 06) დაფინანსებულია 1300,4 ათასი
ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1580,0 ათასი ლარის 82,3%-ია) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

02 06 02 შენობის ფასადების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 06 02)

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
(ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახური)

2022 წლის გეგმა 74,0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 64,7 ათასი ლარით, რაც გეგმის 87,4 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: ქალაქის ტურისტული მიმზიდველობა და ტურისტული
პოტენციალის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული
შუალედური შედეგები: ქვეპროგრამა მოიცავს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული
დაზიანებული შენობის ფასადების რეაბილიტაციის სამუშაოებს.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი -

დაგეგმილი მაჩვენებელი - 2022 წელს ფასადების რეაბილიტაციის სამუშაოები ჩაუტარდება
1 შენობა - ნაგებობას.

მიღწეული მაჩვენებელი - ფასადების რეაბილიტაციის სამუშაოები ჩაუტარდა - - **შენობა 1**
ნაგებობას.

საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 06 03)

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
(ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახური)

2022 წლის გეგმა 413,4 ათასი ლარი, დაფინანსდა - 171,9 ათასი ლარით, რაც გეგმის 41,6 %-
ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: მოსახლეობის სამოქალაქო აქტივობების სრულყოფილად განხორციელების მიზნით მოწესრიგებულია და რეაბილიტირებულია მუნიციპალიტეტში არსებული სივრცეები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ წყალტუბოში რუსთაველის ქუჩაზე საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, კერძოდ ხეების დარგვა და მათი მოვლა; ქალაქ წყალტუბოში, ცენტრალურ პარკში ჩოგბურთის კორტებზე გასახდელების შენობის მოწყობა. კულტურული ღონისძიებების მასშინძლობისა და კულტურული ჰაბის ჩამოყალიბებისათვის ღია სივრცის შექმნა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2021 წელს მოწყობილი სკვერებისა და ატრაქციონების რაოდენობა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 2022 წელს მოეწყობა სკვერები და ატრაქციონები. **მიღწეული მაჩვენებელი** - მოწყობილი სკვერებისა და ატრაქციონების რაოდენობა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები, გამწვანება - განაშენიანება (პროგრამული კოდი 02 06 04)

პროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანება

2022 წლის გეგმა 1092,6 ათასი ლარი, **დაფინანსდა** - 1063,9 ათასი ლარით, რაც გეგმის 97,4 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: გაუმჯობესებული ქალაქის იერსახე;

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: გარე განათების, დეკორატიული განათების სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა; სანიაღვრე არხების გაწმენდას, მოვლა-პატრონობას, ცივი ტბისა და ცივი ტბისგან გამომდინარე არხების მოვლა - პატრონობას; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წვრილფეხა ან / და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნის აღკვეთა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შუქნიშნებისა და ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მოვლა-პატრონობა; ქალაქისა და მუნიციპალიტეტის განსაზღვრული ტერიტორიების გამწვანებაზე ზრუნვა, სკვერებისა და ხე-ნარგავების მოვლა-პატრონობა; ქუჩების სეზონური მორწყვა; შენობების ფასადების რეაბილიტაცია; სატვირთო ავტომობილის შეძენა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2021 წელს დარგული ხე-მცენარეების რაოდენობა 140.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 2022 წელს დასარგავი ხე-მცენარეების რაოდენობა 150.

მიღწეული მაჩვენებელი - დარგული ხე-მცენარეების რაოდენობა 150,

ზ) სოფლის მხარდაჭერის პროგრამის (პროგრამული კოდი 02 07) 2022 წლის გეგმა 709,9 ათასი ლარი, დაფინანსდა - 691,1 ათასი ლარით, რაც გეგმის 97,4 %-ია.

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
(ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახური)

დაგეგმილი შუალედური შედეგი: სოფლის საჭიროებების დაკმაყოფილება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები ფინანსდება საქართველოს მთვარობის განკარგულებით გამოყოფილი თანხით, რომელიც სპეციალური ფორმულით ნაწილდება მუნიციპალიტეტში არსებულ სოფლებზე. შესასრულებელი პროექტის განსაზღვრა ხდება სოფლის კრებების შესაბამისად და ხორციელდება მერიის და მოსახლეობის მიერ. ამ პროგრამის ფარგლებში განხორციელდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში (ქვედა ონჭეში, მექვენა, დერჩი, სოფელი წყალტუბო, ქვილიშორი, ჩუნეში, ოფურჩხეთი, გუმათი, ნამოხვანი, ჟონეთი, ჯიმასტარო, გუმბრა, ბანოჯა, ხომული, ცხუნკური, ყუმისთავი, ზედა ჩუნეში, რიონი, ზარათი, მეჩხერი, ნოლა, სორმონი, ჭოლევი, სოფელ ზედა ონჭეში) ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საჭირო მზა ბეტონის შესყიდვა; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბენტოქოლაში წყლის სათავე ნაგებობისთვის საჭირო მასალების შეძენა თანმდევი ტრანსპორტირების მომსახურებით; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ საყულიაში სასაფლაოს შესაღობად ჭედური /დეკორატიული ჭიშკრის შეძენა თანმდევი მონტაჟის მომსახურებით; სოფელ გეგუთში საბავშვო ბაღისთვის სათამაშოების შესყიდვა თანმდევი ტრანსპორტირების მომსახურებით; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ვანისჭალაში შიდა სასოფლო გზების მოხრეშვა-მოსწორების სამუშაოები; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუხიანში და სოფელ უკანეთში გარეგანათების ქსელის მოწყობის სამუშაოები; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევის ადმინისტრაციული შენობის, ამბულატორიის და საბავშვო ბაღის საერთო ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები, ასევე სოფელ ოფშკვითში გარეგანათების ქსელის მოწყობის სამუშაოები; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკის ცენტრში („დუქნები“-ს უბანში) არსებული მინი სპორტული მოედნისა და სოფელ გუბისწყლის სოფლის კლუბის რეაბილიტაციის სამუშაოები; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გვიშტიბში და სოფელ პირველ წყალტუბოში სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მიწაწითელში სტადიონის შემოღობვისა და სოფელ წყალტუბოში სოფლის კლუბის რეაბილიტაციის სამუშაოები; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირში სპორტული დარბაზისა და სოფელ ქვედა მესხეთში არსებული მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაციის სამუშაოები; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ თერნალში ძველი სასაფლაოს, აგრეთვე სოფელი გუმბრისა და სოფელი ცხუნკურის სასაფლაოების შემოღობვის სამუშაოები; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის შესასვლელში განათებული მანიშნებელი აბრისა და არსებული ჯვრის განათების მოწყობის სამუშაოები; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მესხეთში და ზედა მესხეთში საბავშვო ატრაქციონების მოწყობის, ასევე სოფელ საყულიაში სკვერის კეთილმოწყობის

სამუშაოები; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა მესხეთში საბავშვო ატრაქციონის მოწყობის სამუშაოები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2021 წელს კმაყოფილი მოსახლეობა 90%.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 2022 წელს კმაყოფილი მოსახლეობა 90%.

მიღწეული მაჩვენებელი - შენარჩუნდა საბაზისო მაჩვენებელი.

თ) საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა (პროგრამული კოდი 02 08) 2022 წლის გეგმა 113,7 ათასი ლარი, დაფინანსდა - 67,4 ათასი ლარით, რაც გეგმის 59,3 %-ია.

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახური)

დაგეგმილი შუალედური შედეგი: სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაცია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: პროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - შექმნილი საპროექტო დოკუმენტაციის რაოდენობა 102 .

დაგეგმილი მაჩვენებელი - 105 საჭირო სამშენებლო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციით უზრუნველყოფა.

მიღწეული მაჩვენებელი - 105 საჭიროებისამებრ მომზადებული იქნა სამშენებლო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია.

ი) სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა (პროგრამული კოდი 02 09) 2022 წლის გეგმა 202,1 ათასი ლარი, დაფინანსდა - 134,4 ათასი ლარით, რაც გეგმის 66,5 %-ია.

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახური)

დაგეგმილი შუალედური შედეგი: შედგენილია ხარისხიანი საპროექტო და სამშენებლო სამუშაოები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: სამშენებლო სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ორგანიზაციისა და სპეციალისტების მომსახურების შეძენა. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება 50,0 ათ. ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - შესრულებული სამუშაოების ხარისხობრივი მაჩვენებელი 100%.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

კ) მოქალაქეთა ჩართულობა (პროგრამული კოდი 02 10) 2022 წლის გეგმა 244,8 ათასი ლარი, დაფინანსდა - 88,7 ათასი ლარით, რაც გეგმის 36,2 %-ია.

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახური)

დაგეგმილი შუალედური შედეგი: ქალაქის იერსახის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება მოქალაქეთა სხვადასხვა საპროექტო ინიციატივები. ქვეპროგრამის მიზანია საბიუჯეტო პროცესში ხელისუფლებისა და საზოგადოების ურთიერთქმედების ეფექტური სისტემის შექმნა და დანერგვა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2021 წელს კმაყოფილი მოსახლეობა 90%.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 2022 წელს კმაყოფილი მოსახლეობა 90%.

მიღწეული მაჩვენებელი - შენარჩუნდა საბაზისო მაჩვენებელი.

ლ) ოჯახების სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერა (02 11) 2022 წლის გეგმა განისაზღვრა 50,0 ათასი ლარი, პროექტები არ განხორციელებულა. შესაბამისად გეგმა ვერ შესრულდა. პროექტი არის ახალი ინიციატივა, რედაქტივებს ველოდებოდით ზემდგომიდან და ამიტომ ვერ მოხედერხდა 2022 წელს თანხის ათვისება.

3. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტი საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 2024,5 ათასი ლარით, რაც გეგმის (2087,4 ათასი ლარი) 97,0 პროცენტია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

ათასი ლარი

პროგრამის კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2022 წლის ბიუჯეტის გეგმა	2022 წლის ბიუჯეტის ფაქტი	შესრულების %
03 00	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2 087,4	2 024,5	97,0
03 02	უპატრონო ცხოველების ოპერირება	50,0	50,0	100,0
03 03	დასუფთავება , ნარჩენების გატანა და ცენტრალური პარკის ზედამხედველობა	1 546,2	1 498,7	96,9
03 04	საგრანტე პროგრამა „თანამშრომლობა მწვანე გარემოსთვის“	382,3	377,8	98,8
03 05	ნაგავშემკრები კონტეინერი	108,9	98,0	90,0

ა) უპატრონო ცხოველების ოპერირება (პროგრამული კოდი 03 02) 2022 წლის გეგმა 50,0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 50,0 ათასი ლარით, გეგმა შესრულდა 100 %-ით.

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური)

დაგეგმილი შუალედური შედეგი: შემცირებულია ინფექციურ დაავადებათა გავრცელების რისკ-ფაქტორები და უზრუნველყოფილია ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო, მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მაწანწალა ძაღლების ოპერირება. უმეტესაწესრიგით, უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობა და პოპულაციის რეგულირება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2021 იზოლირებული და ოპერირებული ცხოველების რაოდენობა - 355.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 2022 წელს მოხდება 450 ერთეული ცხოველის იზოლირება და ოპერირება.

მიღწეული მაჩვენებელი - იზოლირებული და ოპერირებული ცხოველების რაოდენობა -450.

ბ) დასუფთავება , ნარჩენების გატანა და ცენტრალური პარკის ზედამხედველობა (პროგრამული კოდი 03 03) 2022 წლის გეგმა 1546,2 ათასი ლარი, დაფინანსდა - 1498,7 ათასი ლარით, გეგმა შესრულდა 96,9 %-ით.

პროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანება

დაგეგმილი შუალედური შედეგი: ქალაქში სანიტარული წესრიგის შენარჩუნებულია, გაუმჯობესებულია სანიტარული პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენების გატანა. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავება ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 7 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომობილი. შეგროვებული ნარჩენები გადის გეგუთის ნაგავსაყრელზე. მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის 25 მ. კუბი ნარჩენი. პროგრამის ფარგლებში ასევე ხორციელდება მუნიციპალიტეტის განსაზღვრული ტერიტორიის დაგვა და სანიტარული დასუფთავება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2021 წელს გატანილი ნარჩენების რაოდენობა (ტონა) – 9000.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 2022 წელს გასატანი ნარჩენების რაოდენობა (ტონა) - 9000.

მიღწეული მაჩვენებელი - გატანილი ნარჩენების რაოდენობა (ტონა) – 9000.

გ) საგრანტე პროგრამა „თანამშრომლობა მწვანე გარემოსთვის“ (პროგრამული კოდი 03 04) 2022 წლის გეგმა 382,3 ათასი ლარი, დაფინანსდა - 377,8 ათასი ლარით, გეგმა შესრულდა 98,8 %-ით.

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: მუნიციპალიტეტის სანიტარული პირობების გაუმჯობესება

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: პროექტის ფარგლებში განხორციელდება მნიშვნელოვანი საქმიანობა ნარჩენების სეპარირებული შეროვების დანერგვისათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, ევროკავშირის წარმატებული გამოცდილების გაზიარების გამოყენებით. პროექტის ფარგლებში იგეგმება ერთი ნაგვშიდისა და სეპარირებისთვის საჭირო 60-მდე ბუნკერის შეძენა, 10 საკომპოსტე მოედნის მოწყობა, ცნობიერების ამაღლების მიზნით საგაზაფხულო ბანაკების ორგანიზება, საერთაშორისო კონფერენციების ჩატარება, პროექტი ასევე ითვალისწინებს ღონისძიებებს გარემოს დაცვისა და ნარჩენების მართვის თანამედროვე მიდგომების შესახებ ინფორმირებულობისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით და სხვა თანმხლები ღონისძიებები. პროექტი ხელს შეუწყობს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების მოთხოვნების რეალიზაციას და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში დემოკრატიის განვითარებას, ადგილობრივ დონეზე თანამშრომლობისა და პარტნიორობის გაძლიერების გზით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 0.

დაგეგმილი მაჩვენებელი - სეპარირებისთვის მოხდება 110 ნაგავშემკრები კონტეინერის შეძენა.

მიღწეული მაჩვენებელი - სეპარირებისთვის მოხდა 110 ნაგავშემკრები კონტეინერის შეძენა.

დ) ნაგავშემკრები კონტეინერი (პროგრამული კოდი 03 05) 2022 წლის გეგმა 108,9 ათასი ლარი, დაფინანსდა - 98,0 ათასი ლარით, გეგმა შესრულდა 90,0 %-ით.

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
(ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახური)

დაგეგმილი შუალედური შედეგი: მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენების გატანა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: წყალტუბოს მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მხრივ პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ნაგავშემკრები კონტეინერების შეძენა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2021 წელს მოხდა 100 ნაგავშემკრები კონტეინერის შეძენა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოხდება 150 ნაგავშემკრები კონტეინერის შეძენა.

მიღწეული მაჩვენებელი - მოხდა 56 ნაგავშემკრები კონტეინერის შეძენა.

4. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

განათლების პრიორიტეტი საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 2024,5 ათასი ლარით, რაც გეგმის (2087,4 ათასი ლარი) 97,0 პროცენტია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2022 წლის ბიუჯეტის გეგმა	2022 წლის ბიუჯეტის ფაქტი	შესრულების %
04 00	განათლება	4 084,5	3 804,8	93,2
04 01	საბავშვო ბაღების გაერთიანება	3 472,7	3 335,8	96,1
04 02	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება და ინფრასტრუქტურის მოწყობა / რეაბილიტაცია	611,8	469,0	76,7

ა) საბავშვო ბაღების გაერთიანება (პროგრამული კოდი 04 01) 2022 წლის გეგმა 3472,7 ათასი ლარი, დაფინანსდა - 3335,8 ათასი ლარით, გეგმა შესრულდა 96,1 %-ით.

პროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: ხელმისაწვდომი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებები და ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო და საგანმანათლებლო გარემო.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 24 საბავშვო ბაღი 1850 აღსაზრდელით.

ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა

უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება. არსებული საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია, ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა და აღჭურვა სათანადო ინვენტარით.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა;

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2021 წელს აღსაზრდელთა რაოდენობა 1650.

დაგეგმილი მაჩვენებელი - აღსაზრდელთა რაოდენობა 1850.

მიღწეული მაჩვენებელი - მოხდა საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

ბ) საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება და ინფრასტრუქტურის მოწყობა / რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 04 02) 2022 წლის გეგმა 611,8 ათასი ლარი, დაფინანსდა - 469,0 ათასი ლარით, გეგმა შესრულდა 76,7%-ით.

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახური)

დაგეგმილი შუალედური შედეგი: შესაბამისი ინფრასტრუქტურა და განათლებაზე ორიენტირებული გარემო.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: პროგრამა მოიცავს საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფას. პროგრამა ხორციელდება საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2021 წელს ტრანსპორტით მოსარგებლე მოსწავლეთა რაოდენობა - 702.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 2022 წელს ტრანსპორტით მოსარგებლე მოსწავლეთა რაოდენობა იქნება 702.

მიღწეული მაჩვენებელი - ტრანსპორტით მოსარგებლე მოსწავლეთა რაოდენობა - 702.

5. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტი საანგარიშო პერიოდში
სულ დაფინანსდა 2024,5 ათასი ლარით, რაც გეგმის (2087,4 ათასი ლარი) 97,0 პროცენტია.
თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

ათასი ლარი

პროგრამული	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2022 წლის ბიუჯეტის გეგმა	2022 წლის ბიუჯეტის ფაქტი	შესრულების %
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი	3 377,3	3 114,8	92,2
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	1 363,4	1 147,8	84,2
05 01 01	სპორტული ღონისძიებები	27,0	25,1	93,1
05 01 02	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	1 336,4	1 122,7	84,0
05 01 02 01	წყალტუბო არენა	149,6	149,6	100,0
05 01 02 02	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება	731,0	719,8	98,5
05 01 02 04	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	455,7	253,3	55,6
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1 973,4	1 926,5	97,6
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	1 546,5	1 501,9	97,1
05 02 01 01	წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი	620,0	593,9	95,8
05 02 01 02	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი	795,0	793,8	99,8
05 02 01 03	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი	131,5	114,3	86,9
05 02 02	კულტურული ღონისძიებები	326,9	324,5	99,3
05 02 03	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	100,0	100,0	100,0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	40,6	40,6	99,9

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01) 2022 წლის გეგმა 1363,4 ათასი ლარი, დაფინანსდა - 1147,8 ათასი ლარით, გეგმა შესრულდა 84,26,1 %-ით.

ა.ა) სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 01)

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური)

2022 წლის გეგმა 27,0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 25,1 ათასი ლარით, რაც გეგმის 93,1 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: გატარებულია ღონისძიებები მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობის მიზნით

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა: სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, სხვადასხვა ღონისძიებებზე ტრანსპორტირება; სპორტული ღონისძიებებისათვის თასებისა და მედლების შესყიდვა; 21 მაისს წყალტუბოში მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მხარდაჭერით ჩატარდა საერთაშორისო „ველოტური“, რომლის მიზანი იყო ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა, ტურნირში მონაწილეობას იღებდა 14-მდე ქვეყანის 60 მონაწილე. 26 მაისს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში ჩატარდა სპორტული აქტივობები: მარათონის ტურნირი - წყალტუბოელი სპორტსმენების მონაწილეობით. მკლავჭიდის ტურნირი სხვადასხვა წონით კატეგორიებში, გოგონებსა და ვაჟებს შორის, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეები. საპრიზო ადგილზე გასულ სპორტსმენებს გადაეცათ სიმბოლური საჩუქრები. 31 მაისს ჩატარდა გივი თალაკვაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი მძლეოსნობის ოთხ სახეობაში: 60-მ -ზე რბენი, ბირთვის ტყორცა, ამანატრბენი და სიგრძეზე ხტომა. მონაწილეობდნენ საჯარო და კერძო სკოლების 2008, 2009, 2010 წწ. დაბადებულ გოგონები და ვაჟები. დაჯილდოვდა, როგორც ინდივიდუალური ასევე გუნდურ საპრიზო ადგილზე გასული სპორტსმენები. 14-15 ივნისს ჩატარდა წყალტუბოში მოღვაწე წარმატებული სპორტსმენის სულიკო ნიქაბაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამოყვარულო მინი ფეხბურთის ტურნირი, სადაც მონაწილეობას ღებულობდნენ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციული ერთეულის ფეხბურთის გუნდები. საპრიზო ადგილზე გასული გუნდს გადაეცა ფულადი ჯილდო. 16-17 ივნისს ჩატარდა შალვა ბზიკაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი ძიუდოში, სხვადასხვა წონით კატეგორიებში. ტურნირში მონაწილეობა მიიღო 8 უნიციპალიტეტის 150 -მდე სპორტსმენი. საპრიზო ადგილზე გასულ სპორტსმენებს გადაეცათ სიმბოლური საჩუქრები. წყალტუბოს სამოყვარულო ფეხბურთის ორი გუნდი მონაწილეობას ღებულობს მასტერ ლიგის ჩემპიონატში. 30 სექტემბერი სასკოლო სპორტული ოლიმპიადა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კერძო და საჯარო სკოლების სხვადასხვა სახეობის სპორტში, სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეთათვის წყლის შესყიდვა; ბერძნულ რომაული სტილით მოჭიდავე იაკობ ქაჯაიას ვარსკვლავის გახსნა, სპორტული აქტივობები ანიმაციის გმირებთან ერთად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ჩატარებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით სპორტის სხვადასხვა სახეობებში მოღვაწე წყალტუბოელების გახსენება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2021 წელს ჩატარებული სპორტული ღონისძიებების რაოდენობა - 22.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 2022 წელს ჩატარებული სპორტული ღონისძიებების რაოდენობა - 22.

მიღწეული მაჩვენებელი - 2022 წელს ჩატარდა 22 სპორტული ღონისძიება.

ა.ბ) სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 02) ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სპორტული დაწესებულებების დაფინანსება სპორტის საყოველთაოობისა და

ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად; სპორტული ტრადიციების დაცვის, გაღმავების, თაობათა შორის მემკვიდრეობითობის უწყვეტობის; სპორტის განვითარების; სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისათვის. ამ მიზნით ქვეპროგრამა დაფინანსდა - 1122,7 ათასი ლარით (გეგმა 1336,4 ათასი ლარი), რაც გეგმის 84,0 %-ია. მათ შორის:

ა.ბ.ა) ა(ა)იპ წყალტუბო არენა (პროგრამული კოდი 05 01 02 01)

პროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ წყალტუბო არენა

2022 წლის გეგმა 149,6 ათასი ლარი, დაფინანსდა - 149,6 ათასი ლარით, რაც გეგმის 100 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: მუნიციპალური საფეხბურთო სტადიონი შეუფერხებლად მასპინძლობს წლის განმავლობაში გამართულ ყველა სპორტულ ღონისძიებას.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება წყალტუბოს საფეხბურთო სტადიონის ფუნქციონირების ხარჯების დაფინანსება. ქვეპროგრამის მიზანია წლის ნებისმიერ პერიოდში წყალტუბოს საფეხბურთო სტადიონის მზადყოფნა დაგეგმილი მატჩებისათვის.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2021 წელს ჩატარებული საფეხბურთო მატჩების რაოდენობა - 145.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 2022 წელს ჩატარებული საფეხბურთო მატჩების რაოდენობა - 145.

მიღწეული მაჩვენებელი - 2022 წელს ჩატარდა 145 საფეხბურთო მატჩი.

ა.ბ.ბ) ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება (პროგრამული კოდი 05 01 02 02)

პროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება

2022 წლის გეგმა 149,6 ათასი ლარი, დაფინანსდა - 149,6 ათასი ლარით, რაც გეგმის 100 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: სპორტის საყოველთაოობის, ხელშეწყობისა და პოპულარიზაციის უზრუნველყოფა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: ქვეპროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; მეტი მოზარდი ჩართოს სპორტში, რათა სპორტმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ჯანმრთელი თაობის ჩამოყალიბებაში. ამ მიზნით ქვეპროგრამა აერთიანებს 13 სპორტულ მიმართულებას, რომელთაც ეუფლება 478 სპორტსმენი. ღონისძიება აერთიანებს 13 სპორტულ მიმართულებას: რაგბი (94 სპორტსმენი), ხელბურთი (45 სპორტსმენი(14ქალი, 31 კაცი)), ფრენბურთი (48 სპორტსმენი(19 ქალი, 29 კაცი)), კალათბურთი (61 სპორტსმენი (20ქალი,41კაცი)), ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (44 სპორტსმენი), ქართული ჭიდაობა (17

სპორტსმენი), მიუდო (68 სპორტსმენი), ძალოსნობა (20 სპორტსმენი(2 ქალი,18 კაცი)), მძლეოსნობა (18 სპორტსმენი12 ქალი,6კაცი)), მკლავჭიდი (16 სპორტსმენი), კრივი (21 სპორტსმენი), ჭადრაკი (21 სპორტსმენი (3ქალი, 18კაცი)), მაგიდის ჩოგბურთი (12 სპორტსმენი). გაერთიანებაში დასაქმებულია 53 ადამიანი, მათ შორის ქალი - 14, კაცი-38. გაერთიანების სპორტსმენები მონაწილეობენ საქართველოს, საერთაშორისო, ევროპისა და მსოფლიო მასშტაბით გამართულ ტურნირებსა და პირველობებში. ღონისძიების ფარგლებში ხდება ხელშეწყობა მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების, რაც შეიძლება მეტი მოზარდი ჩაერთოს სპორტში და სპორტმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ჯანმრთელი თაობის ჩამოყალიბებაში. სპორტის სხვადასხვა მიმართულებაში ჩატარდა შეჯიბრებები და მოპოვებული იქნა საპრიზო ადგილები მათ შორის: ბ/რ ჭიდაობა -1 მესამე ადგილი, მიუდო 2 მესამე ადგილი; პირველობა ქვეჭიდაში 2 მესამე ადგილი; ახალგაზრდული ჩემპიონატი მძლეოსნობაში 1 მეორე ადგილი. ხელბურთში ჩატარდა ეროვნული ჩემპიონატის ორი შეხვედრა , რომელიც დასრულდა მოგებით; საქართველოს რეგიონული ლიგა რაგბში 5 შეხვედრიდან 4 დასრულდა სარაგბო კლუბ დინოზავრის სასარგებლოდ.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2021 წელს ჩატარებული სპორტულ ღონისძიებათა რაოდენობა - 70.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 2022 წელს ჩასატარებელ სპორტულ ღონისძიებათა რაოდენობა - 70.

მიღწეული მაჩვენებელი - 2022 წელს შენარჩუნდა საბაზისო მაჩვენებელი.

ა.ბ.გ) სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა (პროგრამული კოდი 05 01 02 04)

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
(ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახური)

2022 წლის გეგმა 455,7 ათასი ლარი, დაფინანსდა - 253,3 ათასი ლარით, რაც გეგმის 55,6 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: განახლებულია ქალაქის სპორტული ინფრასტრუქტურა, რომელიც ადაპტირებულია როგორც ქალთა ასევე მამაკაცთა საჭიროებებზე.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: ღონისძიების ფარგლებში ხორციელდება სპორტული მოედნების რეაბილიტაცია - მოწყობა, კერძოდ *ცენტრალური საფეხბურთო სტადიონის მოედნის საფარის მოწყობის სამუშაოები*. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მოსახლეობის მასობრივად ჩართვა სპორტულ ცხოვრებაში. ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისათვის აუცილებელია მოზარდი ახალგაზრდობის ჩართულობა ფიზიკურ და სპორტულ აქტივობებში, ამისათვის საჭიროა ახალი, რეაბილიტირებული და კეთილმოწყობილი სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა, მისი ადაპტირება როგორც ქალთა, ასევე მამაკაცთა საჭიროებებზე.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2021 წელს რეაბიტირებული სპორტული მოედნების რაოდენობა - 5.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 2022 წელს სარეაბილიტაციო სპორტულ მოედნები რაოდენობა - 5.

მიღწეული მაჩვენებელი - 2022 წელს რეაბიტირებული სპორტული მოედნების რაოდენობა - 1.

ბ) კულტურის სფეროს განვითარება(პროგრამული კოდი 05 02) პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება. კულტურული თვითმყოფადობის გაცნობიერებისა და გაღმავების ხელშეწყობა. კულტურის სფეროს დარგების განვითარება და მათი პოპულარიზაცია. ამ მხრივ პროგრამის ფარგლებში ხორციელდება კულტურული ობიექტების დაფინანსება, როგორცაა ა(ა)იპ წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი, ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი და ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი. ამ მიზნით ქვეპროგრამა დაფინანსდა - 1501,9 ათასი ლარით (გეგმა 1546,5 ათასი ლარი), რაც გეგმის 97,1 %-ია. მათ შორის:

ბ.ა) წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01 01)

პროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი

2022 წლის გეგმა 620,0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 593,9 ათასი ლარით, რაც გეგმის 95,8 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: უზრუნველყოფილია ახალგაზრდების ჩართულობა შემოქმედებით საქმიანობაში

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: ქვეპროგრამის მიზანია ახალგაზრდების ინტელექტუალური, შემოქმედებითი, სულიერი , პიროვნული, პროფესიული და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენის, ფორმირებისა და განვითარებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა. ხელოვნებასთან ზიარებით პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარების ხელშეწყობა. კულტურული განვითარება. დაწყებითი სამუსიკო, სამხატვრო და არაფორმალური განათლების მიღება. ახალგაზრდებისთვის შემეცნებითი, შემოქმედებითი ღონისძიებების განხორციელება.მოსწავლეებისთვის ეროვნული და კულტურული მემკვიდრეობის ქართული და მსოფლიო ნიმუშების გაცნობა. მოზარდთა ინტერესების შესაბამისად პროფილური წრეების, ცენტრების, მოსწავლე-ახალგაზრდობის შემეცნებით-შემოქმედებითი პროგრამების განხორციელება. წლის განმავლობაში ა(ა)იპ წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრში მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის მიერ ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: საახალწლო მიუზიკლი „დროის ქვეყანა“; საშობაო კონცერტი; ბორჯომ-ბაკურიანში საბავშვო სიმღერების ფესტივალი; ეკოლოგიის წრის საგანმანათლებლო ონლაინ პრეზენტაცია; დედის და ქალთა საერთაშორისო დღისადმი

მიძღვნილი ღონისძიებები; დავით აღმაშენებლის დღისადმი მიძღვნილი ღია საწრეო მეცადინეობა. სამხატვრო სკოლაში გაიმართა მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა;

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2021 წელს ახალგაზრდობის ჩართულობა შემოქმედებით საქმიანობაში- 455.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 2022 წელს ახალგაზრდობის ჩართულობა შემოქმედებით საქმიანობაში- 455..

მიღწეული მაჩვენებელი - 2022 წელს შენარჩუნდა საბაზისო მაჩვენებელი.

ბ.ბ) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01 02)

პროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი

2022 წლის გეგმა 795,0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 793,8 ათასი ლარით, რაც გეგმის 95,8 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: მოსახლეობაში გაზრდილია ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია; მუნიციპალიტეტის შემოქმედებით ცხოვრებაში ჩართულია ახალგაზრდები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: ქვეპროგრამის მიზანია მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია; შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა. რასაც ემსახურება ცენტრში შემავალი 3 მუზეუმი, 30 ბიბლიოთეკა, 2 კულტურის სახლი და 10 სასოფლო კლუბი. ღონისძიების ფარგლებში ხორციელდება ასევე სასოფლო ბიბლიოთეკების უფასო ინტერნეტით აღჭურვა, რომლითაც აქტიურად სარგებლობს სოფლის მოსახლეობა. 2022 წლის განმავლობაში ხორციელდებოდა სოფლებსა და დასახლებულ პუნქტებში ადგილზე მისვლით თეატრალური და სხვა ღონისძიებები, კერძოდ: სოფ. მესხეთი, სოფ. მაღლაკი, გვიშტიბი და სოფ. ცხუნკური. სოფ. მაღლაკის კულტურის სახლში გაიმართა დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება; განხორციელდა სოფ. წყალტუბოს და მეორე უბნის ბიბლიოთეკების რეაბილიტაცია. ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმში სარემონტო სამუშაოები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2021 წელს ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებათა რაოდენობა - 12.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 2022 წელს ჩასატარებელ კულტურულ ღონისძიებათა რაოდენობა - 12.

მიღწეული მაჩვენებელი - 2022 წელს შენარჩუნდა საბაზისო მაჩვენებელი.

ბ.გ) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01 03)

პროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი

2022 წლის გეგმა 131,5 ათასი ლარი, დაფინანსდა - 114,3 ათასი ლარით, რაც გეგმის 86,9 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: ადგილობრივი და საერთაშორისო ღონისძიებები დაორგანიზებულია და გაზრდილია ვიზიტორების რაოდენობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების პოლიტიკის ჩამოყალიბება და განხორციელება, მდგრადი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, შიდა ტურიზმის სრული კოორდინაცია, კურორტის პოპულარიზაცია. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის მასშტაბით შემომყვანი და ადგილობრივი ტურიზმის განვითარების მხარდაჭერა. პროგრამის ღონისძიებები გათვლილია ადგილობრივ მოსახლეობასა და ვიზიტორებზე და ზოგადად ითვალისწინებს გენდერულ თანაფარდობას მისი სარგებლობისა და ხელმისაწვდომობის პარამეტრში. პროგრამის ამოცანებია შესაბამისი ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა, სახვადასხვა ღონისძიებების, ფორუმების, კონფერენციების, გამოფენების გამართვის/მონაწილეობის გზით მუნიციპალიტეტის პოპულარიზაცია, მიმზიდველობის ზრდა, მიზნობრივი ბაზრებიდან ტურისტების მოზიდვა, ტურისტულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ზრდა, ასევე მუნიციპალიტეტის მდგრადი ტურისტული განვითარებისთვის სტრატეგიის შემუშემუშავება. მიზნების მისაღწევად, პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები: მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის ობიექტების შექმნა; სარეკლამო და საინფორმაციო ბეჭდური მასალების შექმნა და გავრცელება; ქალაქის რეკლამირება მიზნობრივ ბაზრებსა და ღონისძიებებზე; ინტერნეტსა და სოციალურ ქსელებში შესაბამისი მასალების განთავსება; ტურისტების საჭიროებების კვლევაზე დაყრდნობით სხვადასხვა პროექტების განხორციელება და სხვა. 2022 წლის განმავლობაში ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრის მიერ განხორციელდა ადგილობრივ გიდებთან გადამზადება; უმასპინძლა ამერიკელ ჟურნალისტებსა და ფოტოგრაფებს; მოხდა ისრაელი - ლისაბონის გამოფენაზე წყალტუბოს წარდგენა. სისტემატიურად მიმდინარეობს წყალტუბოს როგორც ტურისტული ქალაქის პოპულარიზაცია.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2021 წელს მოზიდულ ტურისტთა რაოდენობა - 25000.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 2022 წელს ტურისტთა რაოდენობა - 25000.

მიღწეული მაჩვენებელი - 2022 წელს შენარჩუნდა საბაზისო მაჩვენებელი.

ბ.დ)კულტურული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 02 02)

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური)

2022 წლის გეგმა 326,9 ათასი ლარი, დაფინანსდა - 324,5 ათასი ლარით, რაც გეგმის 55,6 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: ქალაქის გამრავალფეროვნებული კულტურული ცხოვრება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები, როგორცაა: იანვარს საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებით წყალტუბოს ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე მოეწყო საახალწლო ღონისძიებები: საახალწლოდ გაფორმებულ ჯიხურებში ადგილობრივი მეწარმეების მონაწილეობით გაიმართა საშობაო ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა; მოეწყო საბავშვო გასართობი სივრცეები; განთავსდა ფოტო გადასაღები სტენდები; საზეიმო მსვლელობაში მონაწილეობდნენ ანიმატორები. თოვლის ბაბუას საჩუქრებმა პატარები განსაკუთრებით გაახარა. მაყურებელთა წინაშე წარდგნენ ფოლკლორული ანსამბლი „ნადური“ და საბავშვო საესტრადო ჯგუფები „ცისარტყელა“ და „ოცნება“. ღონისძიება საზეიმო კონცერტით და ფოიერვერკით დასრულდა. 3 მარტს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის პირველმა პირებმა დედის დღე მიულოცა, 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულთა გმირების დედებს. 8 მარტს მოეწყო შეხვედრა ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების" თანამშრომელ ქალბატონებთან. მათ თვითმმართველობის პირველმა პირებმა სიმბოლური საჩუქრები გადასცეს. 21-22 მარტს მსოფლიო წყლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით წყალტუბოსა და ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურებმა და ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ტურიზმის განვითარების განყოფილებამ, ერთობლივი ორ დღიანი გაცვლითი ღონისძიებების ორგანიზება უზრუნველყო. 21 მარტს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეებს ბაღდათის მუნიციპალიტეტმა უმასპინძლა. წყალტუბოელმა ახალგაზრდებმა მოამზადეს სხვადასხვა პრეზენტაციები თემაზე: „წყალტუბოს ისტორია“ „კარსტული მღვიმეები“ და „უნიკალური, სამკურნალო თვისებების თერმული წყალი“. ოფიციალური შეხვედრის შემდეგ ახალგაზრდები კურორტ საირმეს ეწვივნენ. დაათვალიერეს სპა ცენტრი, საკურორტო პოლიკლინიკა და 4 ტიპის ბიუვიტის წყალი დააგემოვნეს. ასევე მოინახულეს ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმი. 22 მარტს წყალტუბოს მუნიციპალიტეტმა უმასპინძლა ბაღდათის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებს. ვიზიტის ფარგლებში მათ „პრომეთე“ და „თეთრა“ მღვიმეები მოინახულეს, ასევე დაათვალიერეს წყალტუბოს წყარო N6 და გიორგი ახვლედიანის სახელობის წყალტუბოს

მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. წყალტუბოს ღირსშესანიშნავი ადგილების დათვალიერების შემდეგ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სააქტო დარბაზში გაიმართა ოფიციალური შეხვედრა და ახალგაზრდების დაჯილდოვება. 14 მაისს წყალტუბოს ცენტრალურ პარკში ამფითეატრთან დისნეის ახალი სათავგადასავლო ანიმაციური ფილმის „ენკანტო“-ს ჩვენება გაიმართა, ღონისძიებას სხვადასხვა ასაკის ბავშვები ესწრებოდნენ. 18 მაისს წყალტუბოში აღინიშნა „ეროვნული სამოსის დღე.“ მოეწყო მსვლელობა, რომელშიც ჩართული იყო ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, საჯარო და კერძო სკოლები, ა(ა)იპ-ები და წყალტუბოს ადგილობრივი მოსახლეობა. 1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, გასართობი ღონისძიებები გაიმართა. ქალაქის ცენტრალურ პარკში, კულტურულ და შემეცნებით აქტივობებსა და ასფალტზე ცარცით ხატვით კონკურსში პატარები ხალისით ჩაერთნენ. 1 ივნისს, ქუთაისის ოპერის თეატრში საქართველოს ფოლკლორის 2022-ის შესარჩევი ტური ჩატარდება, სადაც მონაწილეობას ღებულობდა წყალტუბოს ხალხური სიმღერის ანსამბლი „ნადური“, ასევე ფესტივალზე წარმოდგენილი იქნება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მოღვაწე ხალხური რეწვის და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატების ნამუშევრები. 10 ივნისს წყალტუბოს ცენტრალურ პარკში ს/დ „ივერიის“ მიმდებარედ საბავშვო ანიმაციური ფილმის „მოანა“-ს ჩვენება გაიმართა, სადაც მოწვეული იყო სხვადასხვა ასაკის ბავშვები. 22 ივლისს გაიმართა კლასიკური კინო მუსიკის სადამო ზაზა კილასონიას მონაწილეობით. 8 აგვისტო 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ლიტერატურულ-თეატრალიზებული ღონისძიება. 27 სექტემბერი სოხუმის დაცემის დღისადმი მიძღვნილი ლიტერატურული ღონისძიება. სახალხო დღესასწაული შემოდგომის წყალტუბო, პოეზიის სადამო, ღვთისმშობლის წილხვდომილობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი ღონისძიება, სხვადასხვა სადღესასწაულო ღონისძიებებისათვის ბროშურების, წიგნების, დიპლომების, მოსალოცი და მოსაწვევი ბარათების ბეჭდვის მომსახურება; წყლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება; საახალწლო ღონისძიება; საახალწლო საჩუქრები, გლიტერ ფესტივალი. საახალწლო და მიმდინარე წლის შემაჯამებელი ღონისძიებების ორგანიზება.

მიღწეული შუღედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2021 წელს ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებათა რაოდენობა - 29.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 2022 წელს ჩასატარებელ კულტურულ ღონისძიებათა რაოდენობა - 29.

მიღწეული მაჩვენებელი - 2022 წელს შენარჩუნდა საბაზისო მაჩვენებელი.

ბ.ე) რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 03)

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური)

2022 წლის გეგმა 100,0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 100,0 ათასი ლარით, რაც გეგმის 100 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: რელიგიური შემწყნარებლობის პროპაგანდა და მოსახლეობის სულიერების ამაღლება

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერა გაეწევა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტაძრებისა და ეკლესიების რეაბილიტაციასა და ახალის მშენებლობას. 2022 წლის განმავლობაში დაფინანსდა 9 ეკლესიის რეაბილიტაცია: სოფ. ჩუნეში მდებარე წმინდა გიორგის სახ. ეკლესია; სოფ. გეგუთში მდებარე წმინდა ელია წინასწმეტყველის სახ. ეკლესია; სოფ. ოფშკვითში მდებარე იოანე ნათლისმცემლის სახ. ეკლესია; სოფ. ცხუნკურში მდებარე ღვთისმშობლის შობის სახ. ეკლესია; სოფ. ჟონეთში მდებარე მაცხოვრის ფრერისცვალების სახ. ტაძარს; გამსახურდიას ქუჩაზე წმ. იოანე ღვთისმეტყველის სახ. ეკლესია; ქ. წყალ. ჭავჭავაძის ქ. წმ. ამბროსი ხელაიას სახ. ეკლესია; ქ. წყალტ. წმ. გაბრიელ ეპისკ. სახ. გიმნაზია; 9 აპრილის ქუჩაზე ღვთისმშ. მიძინებ. სახ. ეკლესია; სოფ. თერნალში ღვთისმშობლის შობის ეკლესია.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2021 წელს დაფინანსდა - 9 ეკლესია.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 2022 წელს დაფინანსდება - 10 ეკლესია.

მიღწეული მაჩვენებელი - 2022 წელს დაფინანსდა - 10 ეკლესია.

გ) ახალგაზრდობის მხარდაჭერა(პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური)

2022 წლის გეგმა 40,6 ათასი ლარი, დაფინანსდა - 40,6 ათასი ლარით, რაც გეგმის 100 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: მუნიციპალიტეტის შემოქმედებით ცხოვრებაში ჩართულია ახალგაზრდები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: პროგრამის მიზანია ახალგაზრდობის მხარდაჭერა, რომელიც გულისხმობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბავშვებისა და ახალგაზრდების თვითრეალიზაციის შესაძლებლობას. მიმდინარე პერიოდისთვის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, 1 აპრილს წყალტუბოში მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებითა და საგანმანათლებლო რესურს ცენტრის მხარდაჭერით ჩატარდა ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“. ღონისძიებაში ჩართული იყო ქალაქის საჯარო და კერძო სკოლები. გამარჯვებულებს სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ. 5 ივნისს ც. პარკში ჩატარდა ახალგაზრდობის საერთაშორისო

დღისადმი მიძღვნილი გლიტერ ფესტი“/„Glitter fest“. ახალგაზრდულ ფესტივალს უძღვებოდა მსახიობი, მომღერალი და წამყვანი, ლადო ჯანელიძე. კონცერტი გახსნა როკ-ჯგუფმა „მიქსტურამ“, ასევე მონაწილეობდნენ ადგილობრივი ჰიპ-ჰოპ -ის მოცეკვავეთა ჯგუფები, რეპერი ზუკა ბადირეიშვილი იგივე “Big Z“, ფესტივალის დაასრულა Dj crystal” –მა. 17 ივნისს ინტელექტუალური კონკურსი „ეტალონი“, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურისა და წყალტუბოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის მხარდაჭერით ჩატარდა, სადაც მონაწილეობა მიიღო წყალტუბოს საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეებმა. 2022 წლის „წყალტუბოს ეტალონი მოსწავლე“ გახდა სსიპ მამუკა სამაკაშვილის სახელობის მეორე საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლე. 8 ივნისს ჩატარდა გიორგი გაბუნias „ღამის შოუ“-ს კონცერტი. ღონისძიება საკმაოდ მასშტაბური ფორმატით გაიმართა, წყალტუბომ 5000 მდე მაყურებელს უმასპინძლა.

მიღწეული შუღედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2021 წელს ჩატარებულ ახალგაზრდულ ღონისძიებათა რაოდენობა - 5.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 2022 წელს ჩატარებულ ახალგაზრდულ ღონისძიებათა რაოდენობა - 7.

მიღწეული მაჩვენებელი - 2022 წელს ჩატარებულ ახალგაზრდულ ღონისძიებათა რაოდენობა - 5.

6) მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტი საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 2143,1 ათასი ლარით, რაც გეგმის (2226,1 ათასი ლარი) 96,3 პროცენტია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2022 წლის ბიუჯეტის გეგმა	2022 წლის ბიუჯეტის ფაქტი	შესრულების %
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2 226,1	2 143,1	96,3
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	135,3	131,9	97,5
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	135,3	131,9	97,5

06 02	სოციალური პროგრამები	2 083,8	2 008,7	96,4
06 02 01	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი	296,0	285,9	96,6
06 02 02	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღევრძელ პირთა დახმარება	2,0	2,0	100,0
06 02 03	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების მატერიალური წახალისება დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის	100,6	100,5	99,9
06 02 04	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა სარიტუალო ხარჯი	12,0	11,6	96,3
06 02 05	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების ერთჯერადი ფულადი დახმარება	655,7	646,1	98,5
06 02 06	ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი	160,6	158,5	98,7
06 02 07	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება	714,3	663,7	92,9
06 02 08	სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებულ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების დახმარება	142,6	140,5	98,5
06 02 09	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა	7,0	2,5	35,1

ა) საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 01 01)

პროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი

2022 წლის გეგმა 135,3 ათასი ლარი, დაფინანსდა - 131,9 ათასი ლარით, რაც გეგმის 97,5 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მოსახლეობისთვის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სერვისების მიწოდება და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფა, გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხევედველობა და კონტროლი, პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა და მასზე ანგარიშგება დადგენილი წესით, C ჰეპატიტის სკრინინგის განხორციელება, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან ობიექტებში სანიტარულ - ჰიგიენურ მდგომარეობაზე ზედამხედველობა. ქვეპროგრამას ახორციელებს ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, რომელიც ემსახურება შემდეგს: ეპიდზედამხევედველობის სახელმწიფო პროგრამა, იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამა (ვაქცინების ასაცრელი მასალის მონიტორინგი), სამედიცინო სტატისტიკის ღონისძიებების პროგრამა (ვერბალური აუტოფსია),

იმუნოლოგისტიკის განხორციელებაზე ზედამხედველობა, 5-10 წლამდე ასაკის ბავშვების ჰელმინთებზე გამოკვლევა, ანტირაბიული პროგრამის განხორციელება, ტუბერკულოზის მართვის სახელმწიფო პროგრამის ეპიდზედამხედველობა. ცენტრის 2022 წლის განმავლობაში ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ გამკვეთული იქნა სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში „C“ ჰეპატიტის სკრინინგის ფარგლებში 2830 კაცი, „B“ ჰეპატიტის სკრინინგის ფარგლებში 40 კაცი, კოვიდ-19 -ის პროგრამით ვაქცინირებული იქნა 1515 ბენეფიციარი, ანტირაბიული პროგრამის ბენეფიციარი - 450 კაცი, ხოლო სხვადასხვა ინფექციური აცრა - 4618 კაცი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს ჩატარებული აცრების რაოდენობა - 3600.
დაგეგმილი მაჩვენებელი - 2022 წელს ჩატარებულ აცრების რაოდენობა - 3600.
მიღწეული მაჩვენებელი - 2022 წელს ჩატარებულ აცრების რაოდენობა - 5068.
2. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს ჩატარებული სკრინინგის ბენეფიციართა რაოდენობა - 28 217.
დაგეგმილი მაჩვენებელი - 2022 წელს ჩატარებულ სკრინინგის ბენეფიციართა 3600 რაოდენობა.
მიღწეული მაჩვენებელი - 2022 წელს ჩატარებულ სკრინინგის ბენეფიციართა რაოდენობა - 4385

ბ) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი (პროგრამული კოდი 06 02 01)

პროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი.

2022 წლის გეგმა 296,0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 285,9 ათასი ლარით, რაც გეგმის 96,6 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: შექირვებულ მდგომარეობაში მყოფი პირები უზრუნველყოფილნი არიან ყოველდღიური უფასო კვებით

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის დაფინანსება, კერძოდ სოციალურად დაუცველი და შექირვებული მოსახლეობის საინფორმაციო ბაზის შექმნა და მათი უზრუნველყოფა კვებით. 2022 წლისათვის პროგრამით სარგებლობდა 200 ბენეფიციარი, რომელთა გამოკვება ხდება დღეში ერთჯერ. 1 ბენეფიციარზე დღიური ხარჯი საშუალოდ შეადგენს 2,67 ლარს, ხოლო ჯამურად 2022 წელს ბენეფიციართა კვებაზე დაიხარჯა 150 268 ლარი. ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი ახორციელებს აგრეთვე ბენეფიციართა შინმოვლის პროგრამას, რომელიც მოიცავს გადაადგილების შესაძლებლობას მოკლებულ 17 ბენეფიციარს.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2021 წელს ბენეფიციართა რაოდენობა - 190.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 2022 წელს ბენეფიციართა რაოდენობა - 200.

მიღწეული მაჩვენებელი - 2022 წელს ბენეფიციართა რაოდენობა - 200.

გ)მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღეგრძელ პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 02)

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური)

2022 წლის გეგმა 2,0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 2,0 ათასი ლარით, რაც გეგმის 100 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: ასი და მეტი წლის უხუცესები უზრუნველყოფილნი არიან ფინანსური დახმარებით

